საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2650
13/04/2023

2650-21-2-202304131442

შპს „ჯეოფილერის“
მის: ბაგები, კორპუსი 3, ბინა 88
ელ: ფოსტა: info@geofiller.com.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2234 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, ჯავახიშვილის ქ. №9-ში შპს „ჯეოფილერის“ სასარგებლო წიაღისეულის (კირქვა, დოლომიტი, ბაზალტი) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პროექტს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, უახლოესი დასახლებული პუნქტი საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია 850 მეტრით, თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით, დაახლოებით 225 მეტრში (ს/კ: 02.05.03.402). შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე სიტუაციურ რუკაზე დატანით;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმო ფუნქციონირებს 2018 წლიდან შესაბამისი სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე. ობიექტზე დაგეგმილია წარმადობის გაზრდა წლიური 42 000 ტონიდან 55 400 ტონამდე, რისთვისაც საწარმოში გათვალისწინებულია ერთი, არსებულის ანალოგიური წისქვილის დამატება, რის შემდგომაც, საწარმოს მაქსიმალური წარმადობა იქნება 10–12 ტ/სთ. დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს წლიური წარმადობა, წისქვილების ჯამური წარმადობისა (10-12 ტ/სთ) და ობიექტის სამუშაო რეჟიმის (365 დღე, დღე–ღამეში 22 საათი) გათვალისწინებით;
- წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საწარმოში წარმადობის გაზრდის მიზნით, გათვალისწინებულია ერთი, არსებულის იდენტური წისქვილის დამატება, თუმცა, საწარმოს ტექნოლოგიურ სქემაზე (გვ. 4) დატანილია მხოლოდ ერთი წისქვილი, რაც საჭიროებს კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს საწარმოს ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების წარმოქმნისა და შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტის თანახმად, საწარმოში დამსხვრეული კირქვა მომწოდებლიდან შემოდის საფარებლებით აღჭურვილი მაღალტონაჟიანი თვითმცლელი

ავტომანქანებით. ვინაიდან, საწარმოში ფილერის მისაღებად კირქვის გარდა ნედლეულის სახით გამოიყენება დოლომიტი და ბაზალტი, შესაბამისად სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული ნედლეულის საწარმოში შემოტანის შესახებ ინფორმაცია. ასევე, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია სატრანსპორტო მარშრუტისა და სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობის შესახებ;

- დოკუმენტში არ არის იდენტიფიცირებული საწარმოდან მავნე ნივთიერების გაფრქვევის წყაროები და არ არის წარმოდგენილი ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია, უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილის (225 მ) გათვალისწინებით;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ხმაურის დონეების გაანგარიშებისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (225 მ) მიღებული ხმაურის კოეფიციენტის შესახებ, ასევე „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან თავსებადობის საკითხი;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან 500 მეტრიან რადიუსში არსებული საწარმოო ობიექტებისა და მათი ფუნქციური დანიშნულების შესახებ, სიტუაციურ რუკაზე დატანით, აგრეთვე, საწარმოების ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადებების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო